




საკანცელარიო უნარების ტესტი

ტესტურ დავალებათა ნიმუშები



შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
საინფორმაციო ბუკლეტი

წინამდებარე ბუკლეტი შეიქმნა იმისათვის, რომ დაგეხმაროთ უკეთ მოემზადოთ ტესტებისათვის, რომლებიც დაწყებითი საფეხურის საკანცელარიო უნარებს ამოწმებს და შედეგა მხოლოდ არჩევითი პასუხების მქონე დავალებებისაგან. ამ ბუკლეტში მოცემული ნიმუშები გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით იმ დავალებებზე, რომლებიც გამოცდის დროს შეგხვდებათ. თუმცა მნიშვნელოვანია ისიც გაითვალისწინოთ, რომ რეალური საგამოცდო დავალებები შინაარსისა და სირთულის ხარისხის მიხედვით შესაძლოა განსხვავდებოდეს ბუკლეტში მოცემული ნიმუშებისაგან.

გამოცდების შესახებ

„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“ შეეცადა გამოცდების შინაარსი შესაბამისობაში მოეყვანა იმ პროგრამებთან, რომლებზეც სწავლის გაგრძელება გასურთ. ამ მიზნით ჩვენ გავაანალიზეთ პროფესიული ორიენტაციისა და სახელობო პროფესიებისათვის პერსონალის შერჩევის დროს გამოყენებული მეთოდები, საერთაშორისო პრაქტიკა და შესაბამისი ლიტერატურა. ამასთან, შევეცადეთ განგვესაზღვრა ცოდნის ის მოცულობა, უნარები და შესაძლებლობები, რომლებიც მნიშვნელოვანია კონკრეტული სახელობო პროფესიის დასაუფლებლად.

ამგვარი ტესტების უმრავლესობის შესავსებად **დროის ლიმიტია** დადგენილი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ტესტის შევსებისას გაითვალისწინოთ ეს და იმუშაოთ შეძლებისდაგვარად სწრაფად, იმისათვის, რომ ჩაეტიოთ დადგენილ დროში. **ყოველი დავალების ამოხსნისას პირველ რიგში წაიკითხეთ ყველა სავარაუდო პასუხი.**

- თუ თქვენ იცით შემოთავაზებული პასუხებიდან რომელია სწორი, გააკეთეთ შესაბამისი აღნიშვნა სწორი პასუხის გასწვრივ.
- თუ თქვენ არ იცით შემოთავაზებული პასუხებიდან რომელია სწორი, უმჯობესია გამოტოვოთ ეს დავალება და გადახვიდეთ შემდეგზე, ან შეგიძლიათ შემოთავაზებული პასუხებიდან გამორიცხოთ ის პასუხები, რომლებიც ნამდვილად იცით, რომ არასწორია და ამგვარად მოძებნოთ სწორი პასუხი.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით, ტესტზე მუშაობისას სწორად გაანაწილეთ ტესტისათვის გამოყოფილი დრო, აკონტროლეთ საკუთარი თავი და შეეცადეთ თავიდან აიცილოთ დიდი ხნით ერთ კონკრეტულ დავალებზე შეჩერება.

დაიმახსოვრეთ, რომ ამგვარი ტესტირების შედეგი დამოკიდებულია თქვენ მიერ სწორად გაცემული პასუხების რაოდენობაზე.

საკანცელარიო უნარების ტესტები ზომავს ინდივიდის შესაძლებლობას წაიკითხოს და გაიაზროს ინსტრუქციები, გააანალიზოს ანგარიშები, აწარმოოს მარტივი გამოთვლები, დაახარისხოს დოკუმენტაცია და სხვ. შესაბამისად, საკანცელარიო უნარის ტესტი კომპლექსურად აფასებს, რამდენად შესწევს ადამიანს უნარი დროის მოკლე მონაკვეთში, რაც შეიძლება სწრაფად და აკურატულად აღიქვას სხვადასხვა სახის დეტალი (ციფრები, ასოები, სიმბოლოები, სურათები, ფორმები და ა. შ.), მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია/ანალიზი (მაგ.: იპოვოს განსხვავებები, აღმოაჩინოს შეცდომები და ა. შ.) და გამოიტანოს დასკვნა.

საკანცელარიო უნარის ფლობა სამუშაოთა ფართო სპექტრისათვის არის მნიშვნელოვანი. საკანცელარიო უნარებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ პროფესიებში, რომლებიც, როგორც წესი, მოითხოვს მცირე დეტალებზე ყურადღების ფოკუსირებას. ამ პროფესიებისათვის მნიშვნელოვანია შეცდომების სწრაფად აღმოჩენა, წერილი კომუნიკაციის, კითხვის, გაგების, პუნქტუაციის, ორთოგრაფიის, გრამატიკის გამოყენება, ასევე მნიშვნელოვანია დოკუმენტაციის, სხვადასხვა ოფიციალური წერილის მომზადება; ასევე მონაცემთა ბაზებიდან ინფორმაციის (რიცხვების, სხვადასხვაგვარი კოდის) სწორად გადმოტანა და ა. შ. რადგან თქვენ საკანცელარიო უნარების ტესტს აბარებთ, თქვენი მომავალი პროფესიისათვისაც ამ უნარის ფლობა მნიშვნელოვანია.

საკანცელარიო უნარების ყველაზე კარგი საზომი ინსტრუმენტი არის ე. წ. საკანცელარიო უნარების საზომი ტესტი. ტესტი არჩევითი პასუხების მქონე შეკითხვებისაგან შედგება. ჩვეულებისამებრ ტესტი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან, თითოეული ზომავს საკანცელარიო უნარის განსხვავებულ ასპექტს. თითოეულ ნაწილზე (ქვეტესტზე) სამუშაოდ, როგორც წესი, დროითი შეზღუდვაა დაწესებული.

საკანცელარიო უნარების ტესტი, რომელზეც თქვენ უნდა იმუშაოთ, ამოწმებს იმ ძირითად საკანცელარიო უნარ-ჩვევებს და შესაძლებლობებს, რომლებიც ინდივიდებს მოეთხოვებათ სამუშაოთა გარკვეული ჯგუფის წარმატებით შესასრულებლად. ტესტი შემდეგ სამ ქვეტესტს მოიცავს:

- **I ქვეტესტი.** დოკუმენტაციაზე სწრაფად და აკურატულად მუშაობის უნარი.
- **II ქვეტესტი.** დაგეგმვის, პრიორიტეტების მინიჭების, ინფორმაციის მოწესრიგების, დაარქივების უნარი.
- **III ქვეტესტი.** არითმეტიკის, მათემატიკის საბაზო ცოდნა/გამოყენების უნარი.

ტესტის სტრუქტურასთან დაკავშირებული განმარტებები და ტესტურ დავალბათა ნიმუშები

მოცემულ ბუკლეტში ზოგიერთი ნიმუში აღებულია პროფესიულ ორიენტაციასა და შერჩევაში ფართოდ აპრობირებული უნარების ტესტებიდან (Clerical abilities Test, 1990; Pre-employment Testing Process for Clerical, Secretarial, and Technical Jobs Applicant Preparation Guide; The University of Texas MD ANDERSON CANCER CENTER და სხვა).

I ქვეტესტი

დოკუმენტაციაზე სწრაფად და აკურატულად მუშაობის უნარი

ამ ქვეტესტში ორი ტიპის დავალბათაა:

- **შემოწმება (Checking)** – ინფორმაციაზე დაკვირვება და აკურატულად და სწრაფად მისი შემოწმება, დოკუმენტების ერთმანეთთან შედარებისა და მათი იგივეობის ან განსხვავებულობის დადგენა;
- **კორექტირება** – ტექსტში ორთოგრაფიული, გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომების აღმოჩენა და გასწორება.

შემოწმება


ნომერი 1

გიორგიმ უძრავი ქონებით მოვაჭრე ორგანიზაციის დოკუმენტებიდან გადმოიწერა ქვემოთ მოცემული მონაცემები:

ორგანიზაციის დოკუმენტი
წელი – გაყიდული ბინების
რაოდენობა

გიორგის გადმოწერილი
წელი – გაყიდული ბინების
რაოდენობა

1990 – 123
1991 – 119
1992 – 124
1993 – 120
1994 – 121
1995 – 111
1996 – 126



1990 – 123
1991 – 119
1992 – 122
1993 – 120
1994 – 122
1995 – 111
1996 – 136

რამდენი შეცდომა დაუშვა გიორგიმ გადაწერის დროს?

ა) მხოლოდ 1

ბ) მხოლოდ 2

გ) მხოლოდ 3

დ) მხოლოდ 4

სწორი პასუხია: გ)

განმარტება: ამ შემთხვევაში თქვენ დაკვირვებით უნდა შეადაროთ ორგანიზაციის დოკუმენტში მოცემული და გიორგის მიერ გადაწერილი ინფორმაცია ერთმანეთს. ამ შემთხვევაში შეცდომები დაშვებულია მე-3, მე-5 და მე-7 სტრიქონებში მოცემული ინფორმაციის გადაწერისას. თითოეულ სტრიქონში თითო შეცდომაა დაშვებული, შესაბამისად, გიორგიმ დაუშვა **3 შეცდომა**. სავარაუდო პასუხებში 3 გ)-შია მოცემული, მაშასადამე, სწორი პასუხია (გ).

ნომერი 2

შეადარეთ ასლი ორიგინალს და დათვალეთ იმ შეცდომების რაოდენობა, რომლებიც ასლში აღმოაჩინეთ.

ორიგინალი	ასლი
მომხმარებლის ფასის ინდექსი 1996-1998. ყველა ქალაქის მომხმარებელი,	მომხმარებლის ფასის ინდექსი 1996-1998. ყველა ქალაქის მომხმარებელი
1996 ----- 157.5	1996 ----- 157.5
1997 ----- 160.0	1997 ----- 160.0
1998 ----- 162.3	1998 ----- 162.8

რამდენი შეცდომაა ასლში?

- ა) არცერთი ბ) მხოლოდ 1 გ) მხოლოდ 2 დ) მხოლოდ 3

სწორი პასუხია: დ)

განმარტება: ასლისა და ორიგინალის შედარებისას შემდეგი სამი შეცდომა აღმოჩნდა:

- ასლში სიტყვა „ქალაქის“ ნაცვლად წერია „ქალაქის“;
- ასლში სიტყვა „მომხმარებელი“-ს შემდეგ უნდა ეწეროს მძიმე ისევე, როგორც ეს ორიგინალშია;
- ასლში „162.8“-ს ნაცვლად უნდა ეწეროს „162.3“ ისევე, როგორც ეს ორიგინალშია.

ნომერი 3

ქვემოთ მოცემულია რიცხვთა მწკრივები, რომლებიც უნდა იყოს ერთმანეთის იდენტური. იპოვეთ და მონიშნეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული წყვილი.

ა) 4864877899-52 4864877899-52

ბ) 90238904904 90238904904

გ) 326878985648 326878785648

დ) 378943974735 378943974735

სწორი პასუხია: გ)

განმარტება: პირველ რიგში ერთმანეთს ვადარებთ პასუხებში წარმოდგენილ რიცხვთა წყვილებს და ვარკვევთ, არის თუ არა ისინი ერთმანეთის იდენტური. აპლიკანტმა უნდა მონიშნოს მხოლოდ ის პასუხი, რომელშიც მოცემული რიცხვთა წყვილები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთმანეთის იდენტური არ არის მხოლოდ გ) პასუხის ვარიანტში წარმოდგენილი რიცხვთა მწკრივები. შესაბამისად, სწორი პასუხია **(გ)**.

კორექტირება

ნიმუში

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი უნგრეთის დედაქალაქის – ბუდაპეშტის შესახებ, იპოვეთ არასწორად დაწერილი სიტყვები და დაითვალეთ ისინი.

ძვ. წ. III საუკუნეში ბუდაპეშტის ადგილას კელტური დასახლება არსებობდა, რომელიც ვაჭრობისა და ხელონსობის ცენტრი იყო. ახ. წ. III საუკუნეში დასახლება რომის იმპერიის პროვინცია პანონიის შემადგენლობაში შევიდა და აკვინკუმი დაერქვა. ქალაქში რომაული გარნიზონი იდგა და მისი მოსახლეობა 20 000 მახცოვრებელს შეადგენდა. 450 წლისთვის ოსტგოთებმა და ჰუნებმა ქალაქიდან რომაელები განდევნეს. ჰუნების შემდეგ ქალაქს ჯერ ავარები დაეპატრონენ, ხოლო შემდეგ – მორავიელები. დაახლოებით 850 წლისთვის ქალაქი მადიარებმა (უნგრელებმა) დაიკავეს, მას ბუდა უწოდეს და უნგრეთის პირვლ პოლიტიკურ ცენტრად აქციეს. 1241 წელს ბუდა და მდნარე დუნაის მეორე ნაპირზე შედარებით მცირე ზომის დასახლება პეშტი მონღოლებმა ააოხრეს. 1247 წელს უნგრელთა მეფე ბელა IV-მ ბუდაში სამეფო ციხე-ქალაქი აააშენა.

რამდენი სიტყვაა ტექსტში არასწორად დაწერილი?

- ა) ხუთი ბ) ექვსი გ) შვიდი დ) რვა

სწორი პასუხია: გ)

განმარტება: ტექსტში 7 შეცდომაა:

1. დასახლება
2. ხელონსობის
3. მახცოვრებელს
4. დაეპატროენ
5. პირვლ
6. მდნარე
7. აააშენა.

II ქვეტესტი

დაგეგმვის, პრიორიტეტების მინიჭების, ინფორმაციის მოწესრიგებისა და დაარქივების უნარი

ამ ქვეტესტში ორი ტიპის დავალებაა:

- **ფაილების მოწესრიგება** – დოკუმენტების ანბანისა და ნუმერაციის მიხედვით სწრაფად დახარისხება და მოძებნა;
- **რიცხვების დალაგება ზრდადობისა და კლებადობის მიხედვით**. ფასდება ბაზისური მათემატიკური ცოდნის გამოყენება და სწრაფად და აკურატულად დოკუმენტების მოწესრიგება.

დაარქივება

დოკუმენტების სწრაფად და აკურატულად მოწესრიგების უნარი ძალიან მნიშვნელოვანია საკანცელარიო სამუშაოების შესასრულებლად. ამ ტიპის უნარების ფლობის შემთხვევაში საკანცელარიო მუშაკი ზოგავს დროსა და ენერგიას, შესაბამისად, შესრულებული სამუშაო ბევრად უფრო ხარისხიანია.

ტესტში მსგავსი ტიპის დავალებები ამოწმებს ადამიანის უნარებს სწრაფად და აკურატულად მოაწესრიგოს დოკუმენტები. ასეთი დავალებები რესპონდენტისაგან მოითხოვს ანბანის მიხედვით დაალაგოს ჩამოთვლილი ოთხი სიტყვა.

ფაილების მოწესრიგება

ნიმუში 1

სახელები და გვარები ია კუპრეიშვილი, ნორა ქურდაძე, პეტრე კაკულია და ზვიად გვარამია დაალაგეთ ანბანის მიხედვით და განსაზღვრეთ ხაზგასმული სახელისა და გვარის რიგითობა/პოზიცია:

- ა) პირველი ბ) მეორე გ) მესამე დ) მეოთხე

სწორი პასუხია: დ)

განმარტება: თუ მოცემულ სახელებსა და გვარებს დავალაგებთ ანბანის მიხედვით, მაშინ მათი მიმდევრობა შემდეგნაირი იქნება: ზვიად გვარამია, პეტრე კაკულია, ია კუპრეიშვილი და ნორა ქურდაძე. დავალების პირობაში ხასგასმული სახელი და გვარი ჩამონათვალში იქნება მეოთხე. აქედან გამომდინარე, სწორი პასუხია (დ).

ნიმუში 2

თუ ქვემოთ ჩამოთვლილ გვარებსა და სახელებს დაალაგებთ ანბანის მიხედვით, რომელი მათგანი აღმოჩნდება პირველ ადგილზე?

- ა) ლომინაძე ეკატერინე
ბ) ლომიაშვილი დემეტრე
გ) ლომიძე ვლადიმერ
დ) ლომინეიშვილი ნათია

სწორი პასუხია: ბ)

განმარტება: პირველ რიგში ჩამოთვლილი გვარები ანბანის მიხედვით უნდა დაალაგოთ (ლომიაშვილი, ლომინაძე, ლომინეიშვილი, ლომიძე), ხოლო შემდეგ გარკვევით დალაგებული გვარების რიგითობა, კერძოდ, რომელია პირველ პოზიციაზე. ოთხივე გვარის პირველი ოთხი ასო იდენტურია (ლომი), განსხვავებები მე-5 ასოდან იწყება, შესაბამისად, ეს ასოებია: ა)-ში ნ; ბ)-ში ა; გ)-ში ძ და დ)-ში წ. ქართულ ანბანში ა პირველ პოზიციაზეა, ანბანის მიხედვით გვარების დალაგების შემთხვევაში ბ) პასუხში მოცემული გვარი ლომიაშვილი პირველ პოზიციაზე აღმოჩნდება. შესაბამისად, სწორი პასუხი იქნება ბ).

რიცხვების დალაგება ზრდადობისა და კლებადობის მიხედვით

მსგავსი ტიპის დავალებები ამოწმებს ადამიანის უნარს გამოიყენოს ბაზისური მათემატიკური ცოდნა დოკუმენტების სწრაფად და აკურატულად მოწესრიგებისათვის. ამ ტიპის დავალებებში აპლიკანტს მოეთხოვება მოცემული რიცხვები შეადაროს ერთმანეთს და მაქსიმალურად სწრაფად და აკურატულად დაალაგოს ისინი ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით (დავალების მოთხოვნის შესაბამისად); მოწმდება რამდენად სწრაფი და მოწესრიგებულია ადამიანი რიცხვებთან მუშაობის დროს.

ზოგიერთ შემთხვევაში აპლიკანტს მოეთხოვება დაალაგოს თარიღები უახლოესიდან ყველაზე შორეულ თარიღამდე ან პირიქით.

ნიმუში 1

თუ ქვემოთ ჩამოთვლილ რიცხვებს დაალაგებთ კლებადობის მიხედვით, რომელი მათგანი აღმოჩნდება მესამე ადგილზე?

ა) 8917 ბ) 8915 გ) 8236 დ) 9935

სწორი პასუხია: ბ)

განმარტება: პირველ ეტაპზე რიცხვები უნდა დაალაგოთ კლებადობის მიხედვით; ამისათვის საკმარისია მათემატიკის ელემენტარული ცოდნის გამოყენება. შემდგომ გაარკვიოთ, რომელი რიცხვია მესამე ადგილზე. თუ რიცხვებს კლებადობის მიხედვით დავალეგებთ, მესამე ადგილზე ბ) პასუხი (8915) აღმოჩნდება. შესაბამისად, სწორი პასუხია ბ).

ნომერი 2

თუ ქვემოთ ჩამოთვლილ რიცხვებს დაალაგებთ ზრდადობის მიხედვით, რომელი მათგანი აღმოჩნდება ბოლო ადგილზე?

- ა) 456638334
- ბ) 45523985
- გ) 45732436
- დ) 45635135

სწორი პასუხია: ა)

განმარტება: პირველ ეტაპზე რიცხვები უნდა დაალაგოთ ზრდადობის მიხედვით. შემდგომ გაარკვიოთ, რომელი რიცხვია ამ რიგში ბოლო ანუ მეოთხე ადგილზე. თუ რიცხვებს ზრდადობის მიხედვით დავალეგებთ, მეოთხე ადგილზე ა) პასუხი (456638334) აღმოჩნდება. შესაბამისად, სწორი პასუხია ა).

ნომერი 3

თუ ქვემოთ ჩამოთვლილ თარიღებს დაალაგებთ ქრონოლოგიურად უახლოესიდან ყველაზე შორეულამდე, რომელი მათგანი აღმოჩნდება მეოთხე ადგილზე?

- ა) 10/6/2009
- ბ) 11/2/2009
- გ) 10/31/2008
- დ) 9/30/2009

სწორი პასუხია: გ)

განმარტება: პირველ ეტაპზე თარიღები უნდა დაალაგოთ. დაიწყეთ უახლოესი თარიღიდან ასე: ბ) 11/2/2009; შემდგომ მოსდევს ა) 10/6/2009; შემდგომ დ) 9/30/2009 და გ) 10/31/2008 ანუ მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა გ). შესაბამისად, სწორი პასუხია გ).

ნომერი 4

თუ რიცხვები – 51.56847, 522.2849, 5.45879 და 0.51274 უნდა დალაგდეს რიცხვითი მიმდევრობის სახით უმცირესიდან უდიდესისაკენ, მაშინ ხაზგასმული რიცხვის პოზიცია იქნება:

- ა) პირველი
- ბ) მეორე
- გ) მესამე
- დ) მეოთხე

სწორი პასუხია: გ)

განმარტება: თუ რიცხვებს დავალაგებთ ზრდის მიხედვით, მაშინ მიმდევრობა შემდეგნაირ სახეს მიიღებს: 0.51274; 5.45879; 51.56847 და 522.2849. ხაზგასმული რიცხვის პოზიცია იქნება მესამე. აქედან გამომდინარე, სწორი პასუხია (გ).

III ქვეტესტი

არითმეტიკის, მათემატიკის საბაზო ცოდნა/გამოყენების უნარი

საბაზო მათემატიკური უნარის ფლობა კრიტიკული მნიშვნელობისაა საკანცელარიო სამუშაოების შესრულების დროს. ძალიან იშვიათია ისეთი საკანცელარიო სამუშაო, რომლის შესრულებისას დასაქმებულებს შეხება არ აქვთ არითმეტიკასთან. საკანცელარიო უნარების ტესტში შემავალი შეკითხვები ამოწმებს შეუძლია თუ არა აპლიკანტს გადაჭრას მარტივი არითმეტიკული დავალებები, რომლებიც მოითხოვს მთელი რიცხვების მიმატებას, გამოკლებას, გამრავლებასა და გაყოფას, ასევე მთელი რიცხვების შედარებას. დავალებათა მცირე რაოდენობა მოითხოვს წილადებისა და ათწილადების ცოდნას.

ამ ქვეტესტში ორი ტიპის დავალებაა:

- რიცხვებით სწრაფად ოპერირების უნარი (მიმატება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა);
- ანალიზი – დიაგრამებიდან, ცხრილებიდან, გრაფიკებიდან ინფორმაციის წაკითხვისა და ინტერპრეტირების უნარი.

რიცხვებით სწრაფად ოპერირების უნარი (მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა)

ნიმუში 1

შეკრიბეთ (+)

$$17+20=$$

ა. 32

ბ. 37

გ. 43

დ. 47

სწორი პასუხი: ბ. 37

ნომერი 2

გამოაკელით (-)

$$1000 - 250 - 5 =$$

- ა. 560 ბ. 725 გ. 745 დ. 855

სწორი პასუხი: გ. 745

ნომერი 3

გაყავით (:)

$$60 : 3 =$$

- ა. 20 ბ. 25 გ. 15 დ. 10

სწორი პასუხი: ა. 20

ნომერი 4

ჩამოთვლილთაგან რომელია რიცხვი, რომელიც 10-ზე მეტია და 30-ზე ნაკლები.

- ა. 9 ბ. 28 გ. 32 დ. 45

სწორი პასუხი: 10-ზე მეტი და 30-ზე ნაკლები არის **28**. შესაბამისად, **სწორია (ბ)** პასუხი.

ნომერი 5

ჩამოთვლილთაგან რომელია რიცხვი, რომელიც 23-ზე მეტია და 47-ზე ნაკლები.

- ა. 18 ბ. 22 გ. 39 დ. 49

სწორი პასუხი: ამ ჩამონათვალიდან 23-ზე მეტი და 47-ზე ნაკლები არის **39**. შესაბამისად, სწორი პასუხია (გ).

ნიმუში 6

შეკრიბეთ (+)

$$\begin{array}{r} 1100 \\ + 254 \\ \hline 32 \end{array}$$

ა. 1304

ბ. 1386

გ. 2048

დ. 3442

სწორი პასუხი: ბ. 1386

განმარტება: იმისთვის, რომ ამოვხსნათ ქვეშმიწერით მიმატების დავალება, უნდა გადავღათ შემდეგი ნაბიჯები: მიმატება იწყება მარჯვნიდან მარცხნივ და ზემოდან ქვემოთ.

$$\begin{array}{r} 1100 \\ + 254 \\ \hline 32 \end{array}$$

შესაბამისად: $0+4+2$ და მიღებული რიცხვი ანუ 6 უნდა დავიმახსოვროთ; ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ სწორი პასუხი 6-ით მთავრდება. ასეთი კი სავარაუდო პასუხებში მხოლოდ (ბ) პასუხია; შესაბამისად, სწორი პასუხია (ბ). ამგვარი მიდგომა **დროს დაგიზოგავთ**. სხვა შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსთვის განკუთვნილი ფურცელი და ქვეშმიწერით მიმატების დავალება ტრადიციული გზით შეასრულოთ, როგორც ეს სკოლაში ისწავლეთ, რის შედეგადაც მიიღებთ პასუხს 1386.

ნომერი 7

გამრავლეთ (x)

$$\begin{array}{r} 22 \\ \times 15 \\ \hline \end{array}$$

ა. 220

ბ. 330

გ. 350

დ. 410

სწორი პასუხი: ბ. 330.

განმარტება: ეს დავალება შეგვიძლია ორი მეთოდით ამოვხსნათ:

ა. ამოხსნის პირველი გზა:

$$\begin{array}{r} 22 \\ \times 15 \\ \hline 110 \\ + 22 \\ \hline \end{array}$$

330 – შესაბამისად, სწორი პასუხი გამოდის **330**.

ბ. ამოხსნის მეორე გზა: შეგვიძლია 15 დავშალოთ 10-ად და 5-ად და ცალ-ცალკე გავამრავლოთ 22-ზე, მიღებული რიცხვები კი შევკრიბოთ, მაშასადამე: $10 \times 22 = 220$ და $5 \times 22 = 110$; $220 + 110 = 330$.

რიცხვთა მწკრივი

რიცხვთა მწკრივის დავალებები არ აფასებს მათემატიკის ცოდნას, ის ორიენტირებულია შეაფასოს რამდენად აქვს აპლიკანტს უნარი დაინახოს რიცხვებს შორის ლოგიკური კავშირები. შესაბამისად, ეს დავალება პირობითადაა გაერთიანებული მათემატიკურ ნაწილში; ჩვეულებრივ, უნარების ტესტში ის ცალკე ქვეტესტადაა წარმოდგენილი.

ინსტრუქცია: ქვემოთ მოცემულ დავალებებში უნდა აღმოაჩინოთ რიცხვებს შორის კავშირი, შემდეგ უნდა ამოარჩიოთ და შემოხაზოთ თანდართული სავარაუდო პასუხებიდან ერთი პასუხი, რომელიც, თქვენი აზრით, გააგრძელებს რიცხვებს შორის ლოგიკურ თანმიმდევრობას.

ნიმუში 1

მოცემულია რიცხვითი მიმდევრობა: 3 5 7 9 11

რომელია ამ მიმდევრობის მომდევნო (მეექვსე) წევრი?

ა. 13 ბ. 15. გ. 17. დ. 20

სწორი პასუხი: სწორი პასუხია ა. 13

განმარტება: მოცემული მიმდევრობის ყოველი წევრი (მეორედან დაწყებული) მიიღება მისი წინა წევრისგან ორის დამატებით. შესაბამისად ამ მიმდევრობის მეექვსე წევრი უნდა იყოს $11+2$, ანუ 13.

ნიმუში 2

მოცემულია რიცხვითი მიმდევრობა: 2 4 8 16 32

რომელია ამ მიმდევრობის მომდევნო (მეექვსე) წევრი?

ა. 64 ბ. 90 გ. 122 დ. 128

სწორი პასუხი: სწორი პასუხია (ა) 64.

განმარტება: მოცემული მიმდევრობის ყოველი წევრი (მეორედან დაწყებული) მიიღება მისი წინა წევრის 2-ზე გამრავლებით. შესაბამისად ამ მიმდევრობის მეექვსე წევრი უნდა იყოს **64** (32×2).

ანალიზი

ნიმუში 1

ცხრილში წარმოდგენილია პატარა სასურსათო მაღაზიის მიერ ერთი კვირის განმავლობაში დღეების მიხედვით გაყიდული მინერალური წყლის (ლიკანი და ბორჯომი) რაოდენობები.

დღე	ლიკანი	ბორჯომი
ორშაბათი	75	72
სამშაბათი	80	81
ოთხშაბათი	70	74
ხუთშაბათი	74	71
პარასკევი	120	90
შაბათი	102	110
კვირა	110	112

1.1. რომელ დღეს გაიყიდა მაღაზიაში ყველაზე მეტი რაოდენობის მინერალური წყალი (იგულისხმება ლიკანი და ბორჯომი)?

- ა. ოთხშაბათი
- ბ. ხუთშაბათი
- გ. პარასკევი
- დ. შაბათი
- ე. კვირა

1.2. რამდენი დღის განმავლობაში გაიყიდა მაღაზიაში ბორჯომის ბოთლზე უფრო მეტი რაოდენობის ლიკანის ბოთლი?

- ა. 1
- ბ. 2
- გ. 3
- დ. 4
- ე. 5

1.1. სწორი პასუხი: (ე)

1.2. სწორი პასუხი: (გ)

როგორც უკვე ნახეთ, საკანცელარიო უნარების ტესტში გამოყოფილია სამი ქვეტესტი, რომლებიც განსაზღვრული რაოდენობის დებულებების მეშვეობით აფასებს ძირითად საკანცელარიო უნარებს. გახსოვდეთ, ყველა დავალება არჩევითი პასუხების მქონეა. თუ რომელიმე კითხვაზე პასუხის გაცემას ვერ ახერხებთ, უმჯობესია გადახვიდეთ სხვა დავალებაზე, ხოლო იმ კითხვას (თავისუფალი დროის არსებობის შემთხვევაში) ტესტური დავალებების მთლიანად შესრულების შემდეგ დაუბრუნდეთ.

ტესტირება კომპიუტერზე ჩატარდება, შავი სამუშაოსთვის კი ფურცლები დაგირიგდებათ. გამოცდის წინ გასავარჯიშებლად ერთი დღე გექნებათ და საშუალება მოგეცემათ, გაეცნოთ კომპიუტერზე პასუხის მონიშვნის ინსტრუქციასა და ტესტის ფორმატს, ასევე საშუალება გექნებათ, შეავსოთ სავარჯიშო ტესტი.

გისურვებთ წარმატებას!